ქეთევან ხაზარაძე [1], ნინო ჯაფარიძე [2], აზა რევიშვილი [1], ირინა ჯავახიშვილი [3]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში

[1]საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; [2]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, [3]თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.03

KETEVAN KHAZARADZE [1], NINO JAPARIDZE [2], AZA REVISHVILI [1], IRINA JAVAKHISHVILI [3]

ASSESSMENT OF THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES IN GEORGIA

[1]Georgian State University of Physical Education and Sport; [2]Tbilisi State Medical University; [3]Tbilisi Humanitarian University

SUMMARY

In order to better reflect the obligations and principles of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities in the national legislation, in 2020 the Parliament of Georgia adopted the Law on the Rights of Persons with Disabilities. The law significantly improves the legal guarantees of persons with disabilities at the national level. In Georgia, the process of transition to a social model of disability assessment, creation of support services and deinstitutionalization is underway. However, currently, social care and support services offered to persons with disabilities are limited. As a result of the research, priority issues were identified, which must be taken into account by service providers. It was determined that there is a need to provide legal and institutional mechanisms to protect the fundamental rights of persons with disabilities.

Keywords: Person with Disabilities, Rights, Granting the Status

საქართველო დიდ ნაბიჯებს დგამს იმისათვის, რომ გადავიდეს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სამედიცინო მოდელიდან ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე. აღნიშნული წარმოადგენს კულტურულ ცვლილებას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ნორმებისა და მოლოდინების ხელახლა ჩამოყალიბებას. ინკლუზიის ეს ახალი ჩარჩო ეხება პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროს - განათლებას, დასაქმებას, ჯანდაცვას და გავლენას ახდენს არა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის ხელახლა ჩამოყალიბებაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ მოხდება ეკონომიკური პოლიტიკის გარდაქმნა. ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირი შეიძლება იყოს აქტიური და პროდუქტიული მოქალაქე. საქართველომ მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირება შშმ პირთა უფლებების შესახებ (CRPD) 2014 წელს და მისი პროტოკოლის 2021 წელს. საქართველო გეგმავს მარაკეშის ხელშეკრულების რატიფიცირებას, რათა ხელი შეუწყოს გამოქვეყნებულ ნამუშევრებზე წვდომას ბრმა, მხედველობის დარღვევით შშმ პირებისთვის. შესაბამისად, გაიზრდება ხელმისაწვდომობა უსინათლო მომხმარებლებისა და სტუდენტებისთვის, რაც ძალიან მისასალმებელია.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს შშმ პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს [2]. 2023 წლის 18 აპრილს დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა [4]. საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 6 თებერვლის N46 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა" [3].

მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, პრობლემური საკითხების გამოკვეთა. საქართველოში არსებული კანონმდებლობის ანალიზი შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით.

მეთოდი: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა დოკუმენტური და სიტუაციური ანალიზის მეთოდი. დოკუმენტური ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილული და შეფასებულია ქვეყანაში მოქმედი შშმ პირთა სტატუსის მინიჭების სისტემა, გაანალიზებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობა სოციალური დაცვის სფეროში შშმ პირთა უფლებებთან მიმართებაში.

კვლევის შედეგების განხილვა: საქართველომ 2019 წელს წარადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა SDG-ების განხორციელების შესახებ. მიმოხილვა აღიარებს შშმ პირთა სრული ჩართულობის აუცილებლობას. საქართველოში შშმ პირთა უფლებების სიტუაციური ანალიზი მიზნად ისახავს შეფასდეს საქართველოს CRPD-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 2017 წელს საქართველომ 17-ვე SDG ეროვნულ პრიორიტეტად გამოაცხადა. შედეგად მთავრობამ მოამზადა ეროვნული დოკუმენტი SDG-ების შესახებ. ეროვნული დოკუმენტი ეხება შეზღუდულ შესაძლებლობას, კერძოდ, სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის, ინკლუზიური და თანასწორი განათლებისა და უწყვეტი სწავლის უზრუნველყოფას, მყარი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, უთანასწორობის შემცირებას და სამართლიანობის ხელმისაწვდომობას [1].

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მიმდინარეობს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებში ინდივიდუალური, ხშირად არაკოორდინირებული ძალისხმევის ფარგლებში. შშმ პირებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით დამტკიცდა „დამხმარე საშუალებებით მომსახურების მინიმალური სტანდარტები" და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტები" (№01-43/ნ, 29.04.2021) [5]. ასევე შეიქმნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართული საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მოიცავს 6 კომიტეტს: 1. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის (ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის) დანერგვის ხელშეწყობის კომიტეტი; 2. დეინსტიტუციონალიზაციისა და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი; 3. შშმ პირებისთვის სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის ხელშემწყობი მომსახურებების განვითარების, ხარისხის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმის გაუმჯობესების ხელშეწყობის კომიტეტი; 4. შშმ პირებისთვის სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის ხელშემწყობი მომსახურებების მუნიციპალურ დონეზე ინტეგრირების ხელშეწყობის კომიტეტი; 5. შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომიტეტი; 6. შშმ პირთა ჯანდაცვის მომსახურებებზე სხვებთან თანაბარი წვდომის ხელშეწყობის კომიტეტი.

კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობენ სამთავრობო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ თემი და შშმ საკითხებზე მომუშავე ექსპერტები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს საჭიროება უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები შშმ პირების ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

დასკვნა: ანალიზმა გამოავლინა, რომ შშმ პირებთან დაკავშირებული ზოგიერთი რეფორმა არ არის საკმარისად სწრაფი და ყოვლისმომცველი. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელზე სრულად გადასვლის გეგმების დასახვის მიუხედავად, სისტემას სამედიცინო მოდელზე უარი ჯერ არ უთქვამს და არ ითვალისწინებს შშმ პირთა ფუნქციონირებასა და მონაწილეობაზე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გავლენას. შესაბამისად, სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება და შესაძლებლობა, რომ განავითაროს საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური დაცვის სისტემა. შშმ პირებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას ხშირად აკლია კოორდინაცია და სათანადოდ არ სრულდება. საქართველოში არსებობს CRPD-ის მონიტორინგის ქმედითი ორგანო. ასეთად განსაზღვრულია სახალხო დამცველის აპარატი, რომელსაც ასევე გააჩნია ქვეყანაში შშმ პირთა ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საკონსულტაციო მექანიზმი.

საქართველოში მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელზე გადასვლის, მხარდაჭერის სერვისების შექმნისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. თუმცა, ამჟამად, შშმ პირებისთვის შეთავაზებული სოციალური ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისები შეზღუდულია. ფინანსური რესურსების ნაკლებობა აისახება როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად არასაკმარის სერვისებზე. შესაბამისად, შშმ პირებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა და მათთან დაკავშირებული დამატებითი არაპირდაპირი ხარჯები, როგორც წესი, ოჯახებს ეკისრებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა საქართველო, 2020, https://bit.ly/3s0EKNq
2. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“;
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 6 თებერვლის N46 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 18 აპრილის ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე";
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „დამხმარე საშუალებებით მომსახურების მინიმალური სტანდარტებისა" და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (№01-43/ნ, 29.04.2021);
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 14 ივლისის N239 ბრძანების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართული საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“;
7. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი საქართველოში, 2021, https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/pwds_situation_analysis_2021_geo.pdf

8. Data Analysis on Persons with Disabilities Living in Georgia, IDFI, https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/pwds_statistics_eng.pdf
9. Special report on the situation of equality and combating and preventing discrimination, Public Defender of Georgia, https://ombudsman.ge/res/docs/2024042216453494204.pdf

ქეთევან ხაზარაძე [1], ნინო ჯაფარიძე [2], აზა რევიშვილი [1], ირინა ჯავახიშვილი [3]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში

[1]საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; [2]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, [3]თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. საქართველოში მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელზე გადასვლის, მხარდაჭერის სერვისების შექმნისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. თუმცა, ამჟამად, შშმ პირებისთვის შეთავაზებული სოციალური ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისები შეზღუდულია. კვლევის შედეგად გამოიყო პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სერვისების მიმწოდებლებისათვის. დადგინდა, რომ არსებობს საჭიროება უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები შშმ პირების ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.